ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N CMR/2023-17

ქ. თბილისი **„10 მარტი 2023 წელი**

ერთი მხრივ საქართველოს ფინანსთა სამინიტროს საგამოძიებო სამსახური ს/ნ 205204508 (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი უფროსის მოადგილის იგა ზაალიშვილის სახით და მეორე მხრივ, შპს „გლობუსი ემ-ბე" ს/ნ 202446969 (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის, მაყვალა ბეშიძის სახით, ორივე ერთად წოდებულნი როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტება

1.1. ხელშეკრულება - ,,სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი" - პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევას/სამშენებლო სამუშაოებს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. „საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა/სამშენებლო სამუშაოები" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტი.

2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი: დროშის სადგამები (ფლაგშტოკები).
2.2. შესყიდვის ობიექტის რაოდენობა, ღირებულება და მახასიათებლები:

N	CPV კოდი	დასახელება	რაოდენობა (ცალი)	ერთეულის ფასი (ლარი დღგ-ს ჩათვლით)	სრული ღირებულება (ლარი დღგ-ს ჩათვლით)
1	35821100	დროშის სადგამი - ფლაგშტოკი	6	120.00	720.00

2.3. შესყიდვის საშუალება: გამარტივებული შესყიდვა, მონეტარული ზღვრის დაცვით;
2.4. ხელშეკრულების საერთო ღირებულება: 720.00 (შვიდას ოცი) ლარი.
2.5. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც შესყიდვის ობიექტის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
2.6. კლასიფიკატორის კოდი (CPV): 35821100.
2.7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა: 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. საქონლის მიწოდების პირობები, ვადა და ადგილი

3.1. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღეში.
3.2. საქონლის მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი.
3.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდებას „მიმწოდებელი" უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით და ტექნიკური საშუალებებით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს და იქნება ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო.

4.2. საქონლის მიწოდების შემდეგ რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია უხარისხო ან/და არაჯეროვანი შესრულებით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ მიწოდებული საქონელის ხარვეზი საკუთარი ხარჯებით, მოთხოვნიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

4.3. საქონლის საგარანტიო ვადა სწორი ექსპლუატაციის პირობებში უნდა შეადგენდეს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არანაკლებ 12 (თორმეტი) თვეს.

4.4. თუ საგარანტიო პერიოდის განმავლობაში საქონლის ექსპლუატაციისას გამოვლინდება დეფექტი ან/და ნაკლი, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის შეტყობინებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს დეფექტის აღმოფხვრა ან შეცვალოს დაზიანებული საქონელი ახალი ექსპლუატაციაში არ მყოფი ანალოგიური საქონლით.

4.5. ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი ან/და გამოცადონ საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

5.2. შემსყიდველის მიერ ტექნიკური კონტროლი (ინსპექტირება) განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის (ინსპექტირების) განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალისა და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ შემსყიდველი ორგანიზაცია.

5.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და წუნდებული საქონლის ახლით შეცვლა.

5.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ **საქართველოს ფინანსთა სამინიტროს საგამოძიებო სამსახურის შესაბამისი თანამშრომელი/თანამშრომლები.**

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

6.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს **საქართველოს ფინანსთა სამინიტროს საგამოძიებო სამსახურის შესაბამისი თანამშრომელი/თანამშრომლები.**

7. ანგარიშსწორების წესი და ვალუტა

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ლარში.

7.2. ანგარიშსწორება მოხდება 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით, ეტაპობრივად, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების/მოწოდებული საქონლის/სამუშაოების შესრულების შემდეგ, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

7.3. თუ „მიმწოდებელი"-ს ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების გამო დაეკისრება პირგასამტეხლო, ანგარიშსწორება განხორციელდება „შემსყიდველი"-სათვის პირგასამტეხლოს თანხის ჩარიცხვიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.4. წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

7.5.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)

8.1. ფორსმაჟორული პირობების გარდა, მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში დაეკისრებათ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო.

8.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების (გარდა შესრულების ვადის დარღვევისა) შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

8.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით.

8.4. დაკისრებული პირგასამტეხლო გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილის, შეტყობინების) გაცნობიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში.

8.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

9.2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას, ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე აცნობოს მეორე მხარეს არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა.

9.3. ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.5. შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:

9.5.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის 15 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში;

9.5.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ორჯერ დარღვევის შემთხვევაში;

9.5.3. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.

9.6. შემსყიდველი იტოვებს უფლებას ერთი თვით ადრე შეტყობინების შემთხვევაში, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზოგიერთი საქონლის მიღება.

9.7. ამ მუხლის 9.5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში, შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ფორს-მაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყრების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორს-მაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული. ამ დროს მხარეებს შორის ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ თანხაზე ფორს-მაჟორის შემთხვევაში გათვალისწინებული შეღავათები არ ვრცელდება.

10.2. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ,

მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
10.4. იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
11.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. ღირებულება

12.1. მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული შესასრულებელი ვალდებულების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებას.
12.2. მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა.
12.3. ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
12.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
12.5. ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

13. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

13.1. ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის ან ელექტრონული ფოსტის გაგზავნის გზით, სადაც გაგზავნილი შეტყობინება/დაკვეთა ჩაითვლება ოფიციალურ დაკვეთად. შეტყობინების ორიგინალი (საჭიროების შემთხვევაში) შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით. ამასთან ტელეფონით დაკვეთის შემთხვევაში მიმწოდებელს 24 საათის განმავლობაში ჩართული უნდა ჰქონდეს 13.2 პუნქტში მითითებული მობილური ტელეფონის ნომერი.
13.2. ტელეფონით ან/და ელექტრონული ფოსტით ურთიერთობისათვის გამოყენებულ იქნება:
   13.2.1. მიმწოდებლის შემდეგი რეკვიზიტები: ტელეფონის ნომერი +995 598 52 00 56, საკონტაქტო პირი - მაყვალა ბეშიძე, ელექტრონული ფოსტა: globusimb@gmail.com;
   13.2.2. შემსყიდველის შემდეგი რეკვიზიტები: ტელეფონის ნომერი +995 551 15 90 83; საკონტაქტო პირი გიორგი ლაბაძე, ელექტრონული ფოსტა: g.labadze@mof.ge;
13.3. ხელშეკრულებაში მონაწილე ორივე მხარე ვალდებულია, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საკონტაქტო პირ(ებ)ის ან ინფორმაციის ცვლილება წერილობითი სახით აცნობოს მეორე მხარეს.
13.4. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

14. სადავო საკითხების გადაწყვეტა

14.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით,

ხოლო ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სასამართლოს მიერ.

14.2. ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა.

14.3. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15. სხვა პირობები

15.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

15.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 1 ეგზემპლარად, რომელზეც დატანილია ორივე მხარის ელექტრონული ხელმოწერა/შტამპი და აქვს იურიდიული ძალა. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.3. ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

15.4. „ხელშეკრულების“ მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს „ხელშეკრულების“ ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება. მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის დასათაურებაში ან დანომვრაში ცდომილების/სხვაობის არსებობის შემთხვევაში, გამოიყენება ამავე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის შესაბამისი შინაარსის მქონე მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი.

15.5. „ხელშეკრულების“ ტექსტში მექანიკური ან/და ტექნიკური შეცდომის ან/და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში „მხარეთა“ მიერ, აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი განხილული და განმარტებული უნდა იყოს „ხელშეკრულების“ შესაბამისი წინადადების (წინადადებების) ან/და შინაარსიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი არ შეესაბამება „ხელშეკრულების“ სათანადო წინადადებას/წინადადებებს ან შინაარს, მას (ხარვეზი/შეცდომა) „ხელშეკრულების“ შინაარსის განმარტებასთან დაკავშირებით არ ექნება (არ მიენიჭება) რაიმე მნიშვნელობა.

16. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

“შემსყიდველი”
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური
მის: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა №2ა
საიდ. კოდი: 205204508
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა
კოდი: N 220101222

“მიმწოდებელი”
შპს “გლობუსი ემ-ბე”
მის.: ქ. თბილისი, დიღმის მას. მე 18 კორ.მე-6 კვ.
ს/კ: 202446969
საბანკო რეკვიზიტები:
სს "საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE72BG0000000193217500

საგამოძიებო სამსახურის
უფროსის მოადგილე
/იგა ზაალიშვილი/

MINISTRY OF FINANCE OF GEORGIA INVESTIGATION SERVICE
Digitally signed by MINISTRY OF FINANCE OF GEORGIA INVESTIGATION SERVICE
Date: 2023.03.10 16:25:06 +04'00'

დირექტორი
/მაყვალა ბეშიძე/